ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 378

“19” აგვისტო 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა №5-ში, კორპუსი №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.72.14.013.429.01.559) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და ბესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას *„ქალაქ თბილისში,* გრიგოლ ფერაძის ქუჩა №5-ში, კორპუსი №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.72.14.013.429.01.559) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 6 აგვისტოს №25.1330.1495 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა №5-ში, კორპუსი №1-ში, პირველ სადარბაზოში, პირველ სართულზე არსებული - 24.43 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.013.429.01.559) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებაზე, ზაზა ისაკაძისთვის (პ/ს. 18001006942) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე